რეპრესიული კანონების გავლენა ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

რეპრესიული კანონების გავლენა ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2025

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 6

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროფილი 7

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები 9

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

ამჟამინდელი მდგომარეობა 12

რეპრესიული კანონების ზეგავლენა

ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე 15

რეპრესიული კანონების ზეგავლენა

ორგანიზაციების საქმიანობის მოცულობაზე 16

რეპრესიული კანონების ზეგავლენა

ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებებზე 17

რეპრესიული კანონების მოთხოვნებიდან

გამომდინარე რეგისტრაციის საკითხი 18

მომავლის ხედვა 19

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი: „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ მიღებული მტრული, რეპრესიული და არადემოკრატიული კანონების გავლენის შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, მათი ამჟამინდელი მდგომარეობისა და სამომავლო გეგმების გამოვლენა.

კვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა.

კვლევის მეთოდი: ონლაინ გამოკითხვა.

შერჩევა: ხელმისაწვდომი შერჩევა (Convenience Sampling). ელექტრონული კითხვარი იმეილით გაეგზავნათ შესაბამის პირებს.

შერჩევითი ერთობლიობა: 100 რესპონდენტი – 100 სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

სამუშაო ინსტრუმენტი: ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2025 წლის 24 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე.

მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების/ანალიზის მეთოდი:

მონაცემების სტატისტიკურად დასამუშავებლად გამოყენებული იქნება უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდები.

უნივარიაციული: მონაცემთა სიხშირული განაწილება.

ბივარიაციული: კორელაცია – როგორ განსხვავდება ორგანიზაციების მდგომარეობა მათი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით: ბიუჯეტის მოცულობის, თანამშრომელთა რაოდენობის, გეოგრაფიული არეალის, ორგანიზაციული ტიპისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით.

კვლევის მიგნებები აჩვენებს რესპონდენტებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლენილ რაოდენობრივ ტენდენციებს და დაუშვებელია მათი რეპრეზენტაცია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროფილი

2024 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, 2024-2025 წლებში მიღებული რეპრესიული კანონების ამოქმედებამდე კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 77%-ის წლიური ბიუჯეტი არ აღემატებოდა 500 000 ლარს. ორგანიზაციების 11%-ის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 500 000-დან 1 მილიონ ლარამდე, ხოლო 12%-ის − 1 მილიონ ლარზე მეტს. რესპონდენტთა უმრავლესობა, 82% აღნიშნავს, რომ მათ ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა 20 თანამშრომელზე ნაკლები იყო; 14% მიუთითებს 20-დან 50-მდე დასაქმებულზე, ხოლო უმცირესი ნაწილი, 4% აცხადებს, რომ 50 მეტი ადამიანზე ჰყავდათ დასაქმებული.

კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა სრულად ფარავს თბილისსა და საქართველოს რეგიონებს. გამოკითხული ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი, 30% საქმიანობს თბილისში, 29% კი მუშაობის გეოგრაფიულ არეალად მთელ საქართველოს უთითებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა (19%) და აჭარაში (16%). აღმოსავლეთ საქართველოში კი გამოირჩევა შიდა ქართლის (15%), ქვემო ქართლისა (15%) და კახეთის რეგიონები (14%). აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ორგანიზაცია საზღვარგარეთაც საქმიანობს (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ცენტრალური აზია, აღმოსავლეთ ევროპა).

კვლევაში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციების ყველაზე გავრცელებული ტიპებია: ადვოკატირებაზე მომუშავე ორგანიზაციები (40%), სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები (34%) და სათემო ორგანიზაციები (28%). გარდა ამისა, იკვეთება სხვა ტიპებიც - “Watchdog” (20%), “Think tank” (16%), კულტურულ-საგანმანათლებლო ან/და კვლევითი ორგანიზაციები (10%), ფონდი (10%). ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი პროფესიული ორგანიზაციები (8%), პროფესიული კავშირები (7%) და საინიციატივო ჯგუფები (4%). სხვა პასუხი აერთიანებს გარემოსდაცვით და მედია ორგანიზაციებს.

ცხრილი 1.1.



შენიშვნა: თითოეულ რესპონდენტს შეეძლო ერთზე მეტი პასუხის არჩევა, შესაბამისად, ერთი ორგანიზაცია, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს პასუხების რამდენიმე ვარიანტში.

კვლევაში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა (86%) დაფინანსების მიღების მთავარ წყაროდ საერთაშორისო გრანტებს ასახელებს. მცირე წილი მოდის შემდეგ ალტერნატივებზე: ორგანიზაციების 6% სახელმწიფო დაფინანსებას იღებს, 2% დამოკიდებულია კომერციული საქმიანობით მიღებულ შემოსავალზე, 1% კი ინდივიდუალურ შემოწირულებებზე. ორგანიზაციების 5% მიუთითებს სხვა წყაროზე, რომელშიც იგულისხმება მოხალისეობრივი საქმიანობა ან/და საწევროს შედეგად მიღებული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ორგანიზაცია არ ასახელებს ბიზნესის შემოწირულებებს დაფინანსების წყაროდ (0%).

ცხრილი 1.2



რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

რაოდენობრივი კვლევა ცხადყოფს, რომ 2024-2025 წლებში მიღებულმა რეპრესიულმა კანონებმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სისტემური და ყოვლისმომცველი კრიზისის წინაშე დააყენა. გამოკითხული 100 რესპონდენტის მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, განურჩევლად მათი წლიური ბიუჯეტის, მოცულობის, თუ მუშაობის გეოგრაფიული არეალისა, დგას უმძიმესი გამოწვევების წინაშე.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა: ორგანიზაციების 77%-ის წლიური ბიუჯეტი არ აღემატება 500 000 ლარს, ხოლო 82%-ში დასაქმებულთა რაოდენობა 20 ადამიანზე ნაკლებია. ამასთან, ორგანიზაციების 86% დამოკიდებულია საერთაშორისო გრანტებზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი მოწყვლადობის ხარისხი ახლანდელ სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოში.

2024-2025 წლებში მიღებული რეპრესიული კანონების ამოქმედების შემდეგ, გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 7% ფუნქციონირებს სრულად და გეგმავს საქმიანობის რეგულარულ გაგრძელებას, 93% კი მიუთითებს ახალი კანონების არსებით ნეგატიურ გავლენასა და საქმიანობის შემცირება/შეჩერებაზე. გამოკითხულ ორგანიზაციათა ზუსტად ნახევარი (50%) აცხადებს, რომ დღეს არსებული მდგომარეობით მათი საქმიანობა შემცირებულია, მომავლის ხედვა კი – ბუნდოვანი.

სამოქალაქო ორგანიზაციებში ვხვდებით მწვავე ფინანსურ კრიზისს – გამოკითხულთა 96% მიუთითებს ფინანსური რესურსების დეფიციტზე. მათ შორის, 39%-ს საერთოდ აღარ აქვს ფინანსური რესურსი. საინტერესო ფაქტი იკვეთება სახელმწიფო დაფინანსების მქონე ორგანიზაციებში. გამოკითხული 100 ორგანიზაციიდან მხოლოდ 4-ია სახელმწიფო დაფინანსების მიმღები, ოთხივე ორგანიზაცია მუშაობას რეგულარულად აგრძელებს ან/და მომავალში ელოდება საქმიანობის ზრდას. სახელმწიფო დაფინანსების მიმღები ორგანიზაციები მედეგები აღმოჩნდნენ რეპრესიული კანონების მოქმედების პირობებში.

ფინანსურ კრიზისს თან ახლავს საქმიანობის მასშტაბის მკვეთრი შემცირება, რასაც ორგანიზაციების 94% აღნიშნავს. მხოლოდ 6% ახერხებს საქმიანობის

შენარჩუნებას ან ზრდას. კვლევა აჩვენებს, რომ ცვლილებები შეეხო არა მხოლოდ საქმიანობის მოცულობას, არამედ მის შინაარსსაც. ორგანიზაციების 61% მიუთითებს საქმიანობის მიმართულების შეცვლასა ან შეჩერებაზე, მხოლოდ 33% აგრძელებს საქმიანობას უცვლელი შინაარსით.

ორგანიზაციული ტიპის, საქმიანობის შინაარსისა და სამუშაო პროფილის მიხედვით განსხვავებულია ორგანიზაციათა მდგრადობა არსებული კრიზისის პირობებში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სათემო ორგანიზაციები. 27-დან 23 ორგანიზაცია შემცირებულად მუშაობს ან საერთოდ აღარ ფუნქციონირებს. კვლევის მონაწილე სათემო ორგანიზაციებიდან მხოლოდ სამი ცდილობს მუშაობის გაგრძელებას ალტერნატიული ინფრასტრუქტურის დანერგვით. საინტერესოა, რომ სრულად ფუნქციონირებენ უმეტესწილად სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები.

კვლევა აჩვენებს რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც ასახავს ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ე.წ. რუსული კანონისა და ე.წ. FARA-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე. გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი (73%) არ დარეგისტრირებულა არც ერთი კანონის მოთხოვნის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2%-ია რეგისტრირებული ორივე კანონის თანახმად. მხოლოდ რუსული კანონის მოთხოვნის თანახმად გამოკითხული ორგანიზაციების 14% დარეგისტრირდა. ორგანიზაციათა 19%, რომლებიც ამ ეტაპზე FARA-ს მოთხოვნების შესაბამისად არ არიან რეგისტრირებული და თავს კანონის სუბიექტებად არ მიიჩნევენ, არ გამორიცხავენ გადაწყვეტილების შეცვლასა და რეგისტრაციას იმ შემთხვევაში, თუ მათზე ზეწოლა გაგრძელდება. ეს მონაცემები ასახავს როგორც სამართლებრივი გარემოსადმი უნდობლობას, ისე ორგანიზაციების რთულ არჩევანს რეგისტრაციის, როგორც გადარჩენის სტრატეგიის არჩევასა და პრინციპულ პოზიციას შორის.

საბოლოოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხედვა მომავლის შესახებ მკვეთრად პესიმისტურია: რესპონდენტთა 70% ელოდება მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას და ორგანიზაციების გადასვლას მუშაობის ნაკლებად ხილულ ფორმებზე. მხოლოდ 4% ხედავს პოზიტიური ცვლილების პერსპექტივას. არსებული რეალობის ფონზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ გადაერთონ გადარჩენის რეჟიმზე: შეამცირონ საქმიანობის მასშტაბი, შეცვალონ მუშაობის შინაარსი ან მოძებნონ ფუნქციონირების ალტერნატიული ფორმები.

ამგვარად, კვლევის შედეგები ავლენს, რომ საქართველოში სამოქალაქო ორგანიზაციები ღრმა, მრავალმხრივ კრიზისში არიან, რომელიც მოიცავს ფინანსურ, ორგანიზაციულ და ფუნქციურ ასპექტებს და საჭიროებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე კოორდინირებულ და სტრატეგიულ მხარდაჭერას.

ბივარიაციული ანალიზი (ბიუჯეტის მოცულობის, თანამშრომელთა რაოდენობის, რეგიონებისა და ორგანიზაციული ტიპების მიხედვით დაყოფა) არ აჩვენებს არსებით განსხვავებებს, რაც განპირობებულია კრიზისის უნივერსალური ხასიათით, რეპრესიული კანონების გავლენა თითქმის თანაბრად მძიმედ აისახება ყველა ქვეჯგუფზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ამჟამინდელი მდგომარეობა

2024-2025 წლებში მიღებული რეპრესიული კანონების ამოქმედების შემდეგ, რესპონდენტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგომარეობას უკიდურესად მძიმედ აფასებენ. **მხოლოდ ორგანიზაციათა 7% ფუნქციონირებს სრულად და აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში, დანარჩენი 93% კი მიუთითებს კანონების ნეგატიურ გავლენაზე.**

კვლევაში ჩართულ ორგანიზაციათა ნახევარი (50%) აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა შემცირებული, ხოლო ორგანიზაციის მომავალი ბუნდოვანია. საკმაოდ დიდია იმ ორგანიზაციების წილიც, რომლებიც იურიდიულად არსებობს, თუმცა აღარ ფუნქციონირებს (24%). ორგანიზაციების 10%-ის საქმიანობა მილევად რეჟიმშია და უახლოეს მომავალში საქმიანობას შეაჩერებს. ორგანიზაციათა 3% ვერ განკარგავს თავის ფინანსებს (მაგ. ყადაღის გამო), ასევე 3%-ს დაწყებული აქვს ორგანიზაციის გაუქმების/ლიკვიდაციის პროცესი.

საკმაოდ მცირეა იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ახერხებენ ალტერნატიული ორგანიზაციული ინფრასტრუქტურისა და მექანიზმების გამოყენებას (6%). ასევე რესპონდენტები სხვა პასუხში (10%) უთითებენ მოხალისეობრივ მუშაობაზე გადასვლას, თანამშრომელთა შემცირებას, სერვისის მიწოდებისა და საკონსულტაციო მიმართულების დანერგვას, კომერციულ საქმიანობაზე გადასვლას, წევრთა შემოწირულებების მიღებას და ა.შ.

ცხრილი 2.1.



შენიშვნა: თითოეულ რესპონდენტს შეეძლო ერთზე მეტი პასუხის არჩევა, შესაბამისად, ერთი რესპონდენტი/ორგანიზაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს პასუხების რამდენიმე ვარიანტში.

ორგანიზაციების ტიპების მიხედვით დღეს არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს [1], რომ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში არიან სათემო ორგანიზაციები. ჯამურად, კვლევაში მონაწილე 27 სათემო ორგანიზაციიდან 23 შემცირებულად მუშაობს ან აღარ ფუნქციონირებს. მხოლოდ 4 სათემო ორგანიზაცია ცდილობს საქმიანობის გაგრძელებას ალტერნატიული ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის გამოყენებით, 3 კი გადასულია მოხალისეობრივ საქმიანობაზე. 12 სათემო ორგანიზაცია იურიდიულად არსებობს და არ მუშაობს, 3 სათემო ორგანიზაციის მუშაობა მილევად რეჟიმშია და უახლოეს მომავალში გაჩერდება, 6 ორგანიზაციის საქმიანობა შემცირებულია და შემდგომი არსებობის პერსპექტივა ბუნდოვანია, 2 კი გაუქმებულია ან/და მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი.

ამ ფონზე, სრულად ფუნქციონირებად ორგანიზაციებს (7%) შორის წარმოდგენილია მხოლოდ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები (5), ფონდები (2) და პროფესიული კავშირი (1), რაც მიუთითებს ორგანიზაციული ტიპის მიხედვით განსხვავებულ მდგრადობაზე არსებული კრიზისის პირობებში. ამ ორგა-

1 კორელაციურ ანალიზში არ შედის რესპონდენტების მიერ მითითებული მონაცემები კატეგორიაში: სხვა პასუხი.

ნიზაციებიდან სამის ბიუჯეტი 500 ათას ლარზე ნაკლებია, ხოლო დანარჩენის 500 000 – 1 მილიონი ლარის ფარგლებშია. ორგანიზაციების უმეტესობის თანამშრომლების რაოდენობა 20-ზე ნაკლებია, მხოლოდ ორი ორგანიზაციის თანამშრომელთა რაოდენობაა 50-მდე. აღსანიშნავია, რომ 3 ორგანიზაციის დაფინანსების წყარო საერთაშორისო გრანტებია, 3-ის – სახელმწიფო დაფინანსება, ხოლო 1-ის – საწევრო გადასახადი. მხოლოდ ორი ორგანიზაცია ოპერირებს თბილისში, დანარჩენი კი სხვადასხვა რეგიონში.

საინტერესო ფაქტი იკვეთება სახელმწიფო დაფინანსების მქონე ორგანიზაციებში. გამოკითხული 100 ორგანიზაციიდან მხოლოდ 4-ია სახელმწიფო დაფინანსების მიმღები, მათგან სამი კი აღნიშნავს, რომ საქმიანობას აგრძელებს რეგულარულად და ცვლილებებს არ ელოდება. სამივე არის სერვისის მიმწოდებელი. ხოლო მეოთხე ორგანიზაცია (პროფესიული ორგანიზაცია) აღნიშნავს, რომ ამჟამად მისი მუშაობა შემცირებულია, თუმცა მომავალში ელოდება ზრდას. ნათლად ჩანს, რომ ორგანიზაციები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო დაფინანსებაზე, უფრო დაცულად გრძნობენ თავს და უფრო მდგრადები არიან.

რაც შეეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ ალტერნატიული ინფრასტრუქტურის დანერგვას (6%), მათი ბიუჯეტი ნახევარ მილიონ ლარზე ნაკლებია, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა – 20-ზე ნაკლები. გეოგრაფიული არეალი მოიცავს მთელ საქართველოს – 2 ორგანიზაცია მუშაობს თბილისში, დანარჩენი კი – რეგიონებში.

საქმიანობის სფეროებიც მრავალფეროვანია. ორგანიზაციული ტიპების მიხედვით ამ ჯგუფში წარმოდგენილია: Think tank-ი, სათემო ორგანიზაცია, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, ადვოკატირების ორგანიზაცია, პროფესიული კავშირი და საინიციატივო ჯგუფი.

6-დან 5-ის დაფინანსების წყარო საერთაშორისო გრანტებია, ხოლო 1-ის – კომერციული საქმიანობა.

ასევე იკვეთება ზოგადი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ის ორგანიზაციები, რომელთა წლიური შემოსავალი 500 000 ლარამდეა, უფრო მეტად მოწყვლადები აღმოჩნდნენ და მეტად არიან წარმოდგენილი დღევანდელი მძიმე ვითარების აღმწერ პასუხების თითქმის ყველა კატეგორიაში.

რეპრესიული კანონების ზეგავლენა ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე

რესპონდენტები აფასებენ ორგანიზაციების ამჟამინდელ ფინანსურ მდგომარეობას. მიღებული მონაცემების მიხედვით, კვლევაში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციების სრული უმრავლესობა – ჯამში 96% მიუთითებს ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტსა და ახალი რესურსების მობილიზების სირთულეზე. კონკრეტულად კი, ორგანიზაციათა 39%-ს აღარ აქვს ფინანსური რესურსი, 18%-ის ფინანსური რესურსი მნიშვნელოვნად შემცირებულია, 13%-ისა კი გარკვეულწილად შემცირებული. დიდია იმ ორგანიზაციების წილიც, რომელთაც არსებული ფინანსური რესურსი უახლოეს მომავალში (3-6 თვეში) ეწურებათ და მათთვის შეუძლებელია ახალი რესურსების მობილიზება (17%). გარდა ამისა, ორგანიზაციათა 3%-ისთვის შეუძლებელია საკუთარი ფინანსური რესურსის განკარგვა სამართლებრივი მექანიზმების (მაგ: ყადაღა) შედეგად. მხოლოდ 3% აღნიშნავს ფინანსური რესურსების უცვლელობას ან ზრდას. სხვა პასუხის კატეგორია (7%) მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რესურსის ამოწურვა უახლოეს კვირებში, საწევროს შემოწირულებებით მინიმალური ხარჯების დაფარვა და ა.შ. სხვა პასუხიდან მხოლოდ ერთი ორგანიზაცია მიუთითებს 12 თვის განმავლობაში ფინანსური რესურსის ქონას.

ცხრილი 2.2



რეპრესიული კანონების ზეგავლენა ორგანიზაციების საქმიანობის მოცულობაზე

რესპონდენტები აფასებენ ორგანიზაციების საქმიანობის ამჟამინდელ მოცულობას. კვლევაში ჩართული ორგანიზაციების სრული უმრავლესობა, 94% მიუთითებს საქმიანობის შემცირებაზე. კონკრეტულად კი, ორგანიზაციათა 34%-ის საქმიანობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, 27% კი ფოკუსირებულია მხოლოდ ბაზისური საქმიანობის შენარჩუნებაზე. საკმაოდ მაღალია იმ ორგანიზაციების წილი, რომლებიც დღესდღეობით უკვე აღარ საქმიანობენ (13%). გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ ორგანიზაციების საქმიანობის გარკვეულწილად შემცირებასა (12%) და მცირედით შემცირებას (3%). სხვა პასუხის კატეგორია (5%) აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საქმიანობის მოხალისეობრივი გაგრძელება, კავშირების შენარჩუნება, ორგანიზაციიდან თანამშრომელთა წასვლა და ა.შ. მხოლოდ 6% მიუთითებს საქმიანობის რეგულარულად გაგრძელებასა და ზრდაზე.

ცხრილი 2.3



რეპრესიული კანონების ზეგავლენა ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებებზე

კვლევაში ჩართული რესპონდენტები აფასებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებებს, რამდენად შეიცვალა ან შენარჩუნდა მათი საქმიანობის შინაარსი. ორგანიზაციათა უმეტესობა, 61% მიუთითებს საქმიანობის მიმართულების შეცვლასა ან/და საქმიანობის შეჩერებაზე. კონკრეტულად კი, 10%-მა მნიშვნელოვნად შეცვალა, 4%-მა კი სრულებით შეცვალა საქმიანობის შინაარსი. ნაწილობრივ და მცირედით ცვლილება, ასევე საქმიანობის სფეროების შევიწროება, ჯამში ორგანიზაციათა 34%-მა მიუთითა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 13% დღესდღეობით უკვე აღარ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ რეპრესიული კანონების ამოქმედების ფონზე, ორგანიზაციების 33% ახერხებს გააგრძელოს საქმიანობა იმავე შინაარსით. სხვა პასუხები (6%) აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მოხალისეობრივი მუშაობა, ბუნდოვანი მომავალი, ახალი სტრატეგიების ძიება და ა.შ.

ცხრილი 2.4



რეპრესიული კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე რეგისტრაციის საკითხი

კვლევა აჩვენებს რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც ასახავს ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ე.წ. რუსული კანონისა და ე.წ. FARA-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე. გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი (73%) არ დარეგისტრირებულა არც ერთი კანონის მოთხოვნის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2%-ია რეგისტრირებული ორივე კანონის თანახმად. ორგანიზაციების 19%, რომლებიც ამ ეტაპზე FARA-ს მოთხოვნების შესაბამისად არ არიან რეგისტრირებული და თავს კანონის სუბიექტებად არ მიიჩნევენ, არ გამორიცხავენ გადაწყვეტილების შეცვლასა და რეგისტრაციას იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციებზე ზეწოლა გაგრძელდება. გამოკითხულთა 14% დარეგისტრირდა მხოლოდ რუსული კანონის მოთხოვნის ფარგლებში და არც ერთი ორგანიზაცია არ დარეგისტრირებულა მხოლოდ FARA-ს მოთხოვნის თანახმად. სხვა პასუხები გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა რეპრესიული კანონების გასაჩივრება ევროპულ სასამართლოში და ორგანიზაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე აღნიშნული კანონების რეესტრის გვერდით ავლით ფუნქციონირების გაგრძელება.

ცხრილი 2.6.



შენიშვნა: თითოეულ რესპონდენტს შეეძლო ერთზე მეტი პასუხის არჩევა, შესაბამისად, ერთი ორგანიზაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს პასუხების რამდენიმე ვარიანტში.

ორგანიზაციის ტიპები, რომლებიც დარეგისტრირდნენ ორივე კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არიან: Think tank-ი, სათემო ორგანიზაცია, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია და ადვოკატირებაზე მომუშავე ორგანიზაცია.

მომავლის ხედვა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უახლოესი მომავლის ხედვა ასეთია, დიდი უმრავლესობა, 70% მიიჩნევს, რომ მომავალში საერთო სურათი კიდევ უფრო დამძიმდება, რაც შეუძლებელს გახდის ორგანიზაციების ორგანიზაციული ფორმით არსებობას და გამოიწვევს სამოქალაქო სექტორის მიერ მუშაობის გაგრძელებას შედარებით უხილავი გზებითა და ფორმებით. რესპონდენტთა 17% ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში არსებული პოლიტიკური კრიზისი შენარჩუნდება, თუმცა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეძლებენ ორგანიზაციული ფორმით არსებობას და მუშაობის გაგრძელებას. კვლევაში მონაწილე ადამიანების უმცირეს ნაწილს, მხოლოდ 4% აქვს მომავალში პოზიტიური ცვლილების რწმენა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდება. სხვა პასუხი (9%) გულისხმობს პოლარიზაციის გაღრმავების შედეგად არსებული ვითარების უფრო მეტად დამძიმებას, გლობალურ და რეგიონულ ტენდენციებზე დამოკიდებულებას, და ბუნდოვან მომავალს.

ცხრილი 2.7.